№ 262 დეკემბერი 9, შაბათი 1889 დეკემბერი 9, შაბათი № 262


გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს, ან გამოგზავნის,

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მომავალ 1889 წლის იანვრიდგან ჟურნალი „თეატრი“ გამოვა სრულიად სხვა სახით და სხვა პირთა მონაწილეობით რედაქციაში. აგრეთვე აღთქმული გვაქვს უკეთესთა ქართველთა მწერალთა თანამშრომლობა ჟურნალში. ჟურნალის უმთავრესი დანიშნულება იქნება მისცეს წარმატება ჩვენს იმ გვარს ლიტერატურას, რომელსაც ექმნება სამკვიდრო მნიშვნელობა და ექმნება ხასიათი არა მარტო დღიური, არამედ მომავლისათვისაც. ჟურნალს აგრეთვე მიღებული აქვს ზომიერება, რომ შესცვალოს და შეავსოს თავისი პროგრამა დროებისა და გარემოების მოთხოვნილების დაგვარად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ამ ადრესით: Въ книжный магазинъ Г. Чарквіани и Р. Панцхава.

ქუთაისში: ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

გორში: ილია ნატროევთან.

სენაკში: სამსონ ყიფიანთან.

ზუგდიდში: ექიმ აბელ იაშვილთან.

ახალციხეს: ზაალ ზაალოვთან.

(6—2)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 12 დეკემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

## გაიძვერები

კომედია 5 მოქმედ. და 6 სურათად თხზ. აკაკი წერეთლისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ტატიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი, ხუციშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## დიდი ნაკლის შევსება

ტფილისი, 6 დეკემბერი

უცხო რამ გახლავთ ჟეჟილი. ბუნების გამაცოცხლებელს გაზაფხულზედ ამოუყვია გამთბარი მიწიდგან ნორჩი წვერები, ამწვანებულა, გალადებულა და საამურად ბიბინებს. თავისი ნორჩი ფესვებით უხვად სწოვს მიწიდგან წვენსა და თავისი ნორჩი ღეროებით ხარბათ ისუნთქავს გამთბარ ჰაერს: იზრდება, ხარობს სიცოცხლით, სრულდება და ემზადება ქვეყანას სამსახური გაუწიოს, მოსავალი მისცეს, საზრდო გაუჩინოს.

არსებობს სხვა გვარი ჟეჟილიც. ეს ჟეჟილი პირველისავით როდია მიბმული მიწაზედ ფესვებით. იგი თავისს ორს ნორჩს ფეხზედ დახტის, თავისი ნორჩი ენით და პირით ტიკტიკობს, თავისი პატარა ხელებით კოჰკობს, ბურთაობს, ჰიდაობს, თამაშობს, ცელქობს, იგი შეჰხარის სიცოცხლეს სრული სიხარულით, სტკბება თავისი არსებობით, ჰგრძნობს სრულს მეცნიერებას; იგი პირველივით იზრდება, მაგრამ არა მარტო ტანით, სხეულით, არამედ გონებითაც და გულითაც, ერთი სიტყვით, სულით. იგი ემზადება ემსახუროს მოყვასს და ქვეყანას, შეამციროს ტანჯვა - წვალება ადამიანთა შორის, გააძლიეროს შვება და ლხენა და თავისთანავე ბედნიერი გახადოს დიდებიც. ეს ჟეჟილი არის კრება მოზარდი თაობისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს სიხარულიცაა და იმედიც ქვეყნისა.

ღაღანობს მესამე ჟეჟილიც. ეს გახლავთ სრულად თეთრი მინდორი, მრავალჯერ დაკეცილი. ამ თეთრს მინდორზედ სხვა გვარნი მთესავნი აბნევენ შავს თესლსა და მასზედ ამოდიან, ბიბინებენ და ღაღანობენ ნორჩნი ლექსნი, პატარა ამბები, ცელქი მოთხრობანი, კუდრაჭა გამოცანანი, ცრუ-მართლიანი ზღაპრები. პირველს ჟეჟილს მოსავალი მოჰყავს წელიწადში ერთხელ. ამ მესამე ჟეჟილმაკი მოსავალი იცის ყოველ თვეე, ან ორ თვეეში ერთხელ. ეს გახლავთ საბავშო ჟურნალი.

პირველიც და მესამე ჟეჟილიც გაჩენილნი არიან მეორესათვის. პირველმა ჟეჟილმა უნდა მეორე გაზარდოს ფიზიკურად, სხეულით, მესამემ უნდა სრული ჰყოს აზრით, გრძნობით, გონება გაუნათლოს, გული გაუსპეტაკოს, კაცთ-მოყვარეობა აუღორძინოს, სულით აღამაღლოს. ამ მაღალი დანიშნულებიდგან წარმოსდგება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საბავშო ჟურნალს, ამ გონებრივს ჟეჟილს.

მხოლოდ შეუგნებელნი, განუვითარებელნი ერნი და საზოგადოებანი არიან მოკლებულნი საბავშო ჟურნალს; იქ-კი, სადაც განათლებას, სწავლას ფესვები მეტ-ნაკლებობით ღრმად გაუდგამს, პერიოდულს საბავშო გამოცემას უჭირავს ერთი უპირველესი ადგილი. პატარებისათვის იბეჭდება იქ იმდენივე ჟურნალი, რამდენიც დიდებისათვის.

ბოლოს ხნობამდის ჩვენ მოკლებულნი ვიყავით საბავშო ჟურნალს, ამ ყოველ განათლებულ ერის კუთვნილებას. სხვათა შორის ესეც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ჩვენს ოჯახობასა და საზოგადოებაში სუსტია ჯერ სწავლისა და განვითარების მოთხოვნილება. რამდენისამე წლის წინად გაგვეჩინდა „ნობათი“ და დიდს იმედსაც გვაძლევდა, მაგრამ გაცრუვდა ეს იმედი. იგი ქვიშაზედ აშენებული ხუხულას მსგავსი რამ გამოდგა,—კუდიანი ზჟუტა ვარსკვლავივით გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ, ჯერ ცოტა ხანს იკაშკაშა, მერე სწრაფად მიილია და ბოლოს მთლად გაჰქრა, ვითომც არც-კი არსებულიყოს. მაგრამ მაინც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში. მართალია, კარგი, ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ ამ გამოცემას მეტი უნარი და მეტის შეძლება გამოეჩინა, მაგრამ ვერ გამოიჩინა და რა ექნათ.

„ისა ექნათო“, სთქვა ერთმა საზოგადო ასპარეზზედ მომქმედმა პირმა: „რომ ახალი საბავშო ჟურნალი უნდა გავუჩინოთ ჩვენს მოზარდს თაობასაო“. სთქვა და კიდეც შეასრულა, სიტყვა საქმედ აქცია. მომავალის წლიდგან ჩვენს ყმაწვილობას ექმნება თავისი პერიოდული გამოცემა, შესაბამი გონებრივი საზრდო. ზედგამოჭრილი სახელი, შესაბამი პროგრამმა, აწონილი ვაღა წიგნების გამოსვლისა, რჩეულნი თანამგრძნობელნი, მხნე რედაქტორ-გამომცემელი, ზომიერი ფასი, ერთი სიტყვით, ყველა გარემოება, ძლიერ თავ-დარიგიანად დაჭერილი, გვაძლევს სრულს იმედს იმისას, რომ „ჟეჟილი“ იქნება ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი ცდომილისა, არამედ ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნება მუდამაც. ვინ იტყვის, რომ ეს არ იქმნება დიდი ნაკლის შევსება და ძლიერ ხელს არ შეუწყობს უფრო გონიერის, უფრო მხნეს და უფრო ქვეყნისათვის გამოსადეგის ახალთა თაობათა აღზრდასა, მომზადებასა!

რიგიანს საბავშო ჟურნალს იმდენა სიკეთის დათესვა შეუძლიან, რომ ამ სიკეთის გაზვიადება შეუძლებელია. ხოლო ჩვენში იმისი სარგებლობა პირდაპირი სიკეთით არ გათავდება. იგი უთუოდ ჯერ შეასუსტებს და შემდეგში მოსპობს ერთს ფრიად სამწუხარო მოვლენას. რაში მდგომარეობს ეს მოვლენა?

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი პერიოდული ლიტერატურა ძლიერ დაცემულია, ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენს ბედზედ აქამდის არ მოიპოვება არამც თუ რამდენიმე, არამედ ერთად-ერთი ყოველ თვიური ჟურნალიც. რომ გულახდილად გავტყდეთ, ჩვენ თითქმის დარჩენილნი ვართ ერთი ყოველ დღიური გაზეთის ამარად. ეს მოვლენა, თავის თავად ძლიერ სამწუხარო, გულ-საკლავი ხდება, როდესაც ჩვენს პერიოდულს ლიტერატურას შევადარებ სხვა პატარა ხალხების ლიტერატურასთან, რომელთაც არც იმდენი ხნის კულტურა აქვთ, როგორც ჩვენა, არც იმისთანა სასახელო ისტორია, როგორიც საქართველოს, არც რიცხვით არიან ჩვენზედ ბევრნი და გარეგანი მდგომარეობაც იმისთანა აქვთ, როგორიც ჩვენა. მაგალითად ავიღოთ ესტები, რომელნიც სცხოვრობენ რუსეთის ბალტიის გუბერნიებში და რომელთა რიცხვი ერთს მილიონამდისაც არ ადის. იცით რავდენი პერიოდული გამოცემა აქვს ამ მეხუთე, თუ მეექვსე ხარისხის ხალხსა? ოცი...

რად არის ჩვენი პერიოდული ლიტერატურა ასე დაბლა ჩამორჩომილი? უმთავრესი მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ საზოგადოება იმას გულგრილად ექცევა, იგი არ შეადგენს იმისს არსებითს მოთხოვნილებას, საჭიროებას. ეს ძლიერ მავნე სენია და ამ სენის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი საზოგადოება პატარაობას არ დაჩვეულა რეგულიარულს კითხვას, ხალისი, ინტერესი კითხვისა არ გაღვიძებულა იმის გონებაში, და რაც პატარაობისას უთესნია, იმასვე იმკის დიდობისას.

კარგი სახელმძღვანელონი ქართულის ენისა შეადგენენ პირველს ნაბიჯს, საძირკველს განათლებისას, მაგრამ იგინი არასოდეს და არსად საკმარისნი არ არიან, რომ საზოგადოებაში გააძლიერონ ცხოველი ინტერესი კითხვისა. სახელმძღვანელოთა და პერიოდულ გამოცემათა შორის ბლომი მანძილია, მოზრდილი ხევია, და ამ ხევზედ გადახტომა შეუძლიან მხოლოდ ზოგიერთა პირს, ძლიერ ნიჭიერსა და ფეხ მარდსა. უმრავლესობა-კი ამ ხევის აქეთ ნაპირსა რჩება და ვერ გასულა იქით ნაპირს, სადაც არსებობს პერიოდული ლიტერატურა. საჭიროა, მიუცილებლად საჭიროა ხიდი და ამ ხიდად, და საუკეთესო ხიდადაც, ყველგან ითვლებოდა და ითვლება საბავშო ჟურნალი.

მართლადა, წარმოიდგინეთ, რომ რომელსამე ბავშვს, გონიერი მზრუნველის მეოხებით, რამდენისამე წლის განმავლობაში თავის დროზედ მისდის რიგიანი საყმაწვილო პერიოდული გამოცემა და იგი კითხულობს მას რიგზედ, რეგულიარულად. ნუ თუ შესაძლებელია, რომ ამ ბავშვს კითხვა არ შეუყვარდეს და არ შეიქმნას მისთვის თითქმის ისეთივე არსებით მოთხოვნილებად, როგორც წყლის სმა და პურის ჭამა? ნუ თუ ამისთანა ბავშვი, როდესაც დიდი შეიქმნება, არ შეიტანს ცხოვრებაში სამშობლო ლიტერატურის სიყვარულს და არ გახდება ერთგული მიმდევარი და მძებნელი სალიტერატურო ჟურნალებისა, ყოველ დღიური გაზეთებისა? ნუ თუ იგი არ დაეხმარება სამშობლო ლიტერატურას ან როგორც ხელის-მომწერი და ერთგული მკითხველი, ან როგორც თანამშრომელი და მწერალი, ან როგორც მქადაგებელი ცხოველი სიტყვით სამშობლო ლიტერატურის თანაგრძნობისა, საყვარულისა? ბავშვი ბუნებისაგან სულ ლატაკად უნდა იქმნას შექმნილი, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში იგი იყოს რიგიანი საყმაწვილო ჟურნალის გავლენის ქვეშა და ასცდეს იმ სანატრელს შედეგსა, რომელიც ახლა აღვნიშნეთ.

მაგრამ შესაძლებელია, რომ მშვენიერი საყმაწვილო ჟურნალიც არსებობდეს, ბავშვებსაც ძლიერ უჭირდეთ იგი, მაგრამ შორი-შორს-კი იყვნენ ერთმანეთზედ. დიდებივით ბავშვებს არ შეუძლიანთ თითონ დაიბარონ ჟურნალი, ხელის-მომწერნი გახდნენ. ივინი თავის თავად ჟურნალის დაბადებასაც ვერ შეიტყობენ. დიდებმა უნდა იზრუნონ ამაზედ, მათ უნდა დაამყარონ ჟურნალსა და ბავშობას შუა მტკიცე კავშირი. სიდიდე და სიფართოვე სიკეთისა და სარგებლობისა, რომელიც უნდა ჟურნალმა მოუტანოს ქართველს ყმაწვილობას, პირდაპირ დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად შეასრულებენ ამ შემთხვევაში თავის წმინდა მოვალეობას მშობელნი და მასწავლებლები...

საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ ერთი დიდი შეცდომა, რომელიც მოსდის სასწავლებლებს შესახებ საბავშო ჟურნალისა. ყოველი სასწავლებელი ჩვეულებრივად იბარებს მხოლოდ ერთს ეგზემპლიარს ჟურნალისას, რამდენიც უნდა იყოს მოწაფე სასწავლებელში. ხოლო ჩვენში ხშირად სასწავლებლებში ასობით ითვლება მოწაფეთა რიცხვი. რას გაუხდება ამოდენა სასწავლებელს ერთი ეგზემპლიარი ჟურნალისა? მოწაფეები ყდის გასინჯვას, შინაარსის გადათვალიერებას და ზოგიერთა მოკლე რამეების აჩქარებით ჩაკითხვას თუ მოასწრობენ ხოლმე, თორემ გულ-დადებით, ჩაფიქრებით გადაკითხვა ჟურნალისა მათთვის შეუძლებელია. ჩვენის აზრით, ყოველმა სასწავლებელმა თითო ორს მოწაფეს ცალკე ეგზემპლიარი უნდა დაუბაროს, თუ უნდა, რომ მოწაფეებს ჰქონდეთ ნამდვილი შეძლება ჟურნალის რიგიანის კითხვისა. თითო მოწაფეს ამ შემთხვევაში წელიწადში თავის წილად შეხვდება ერთი აბაზი ჟურნალის ფასიდგან (რადგანაც

„ჯეჯილი“ ღირს გაგზავნით 4 მანეთი) და ეს ისეთი მცირე ფულია, რომ თვით ღარიბს მოწაფეებსაც შეუძლიანთ ადვილად გადიხადონ ხოლმე. თუ ამ ჩვენს აზრს განახორციელებენ სამოქალაქო სასწავლებლები, საოსტატო სემინარიები, სააზნაურო სკოლები, სასულიერო სასწავლებლები, გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, სასულიერო სემინარია და სხვანი, იმათში, უეჭველია, გონებრივი ინტერესი და მოძრაობა ერთი-ორად იმატებს და მთელს სასწავლებლებსაც მეტი სიცოცხლე დაეტყობათ. მხოლოდ სასოფლო სასწავლებლებს-კი ერთი ეგზემპლიარის მეტს ვერ დავავალებთ, რადგანაც სიღარიბე ნებას არ აძლევთ და უფროს განყოფილებებშიაც მცირედი რიცხვი მოწაფეებისა სწავლობს...

კალმით მონაწილეობა ჟურნალში, თანამშრომლობა აგრეთვე ითხოვს წინ-დახედულობას, თავდარიგს. უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ საბავშო რამეების წერა შესაბამად, მიზნის შესაფერად ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე დიდებისათვის ლიტერატურული შრომა. ამ სიძნელის დაძლევა კერძო პირებისათვის ადვილი არ არის. ზოგმა მშვენივრად იცის ქართული ენა, მაგრამ მომზადებული არ არის იმდენად, რომ კარგი არჩევანი ჰქმნას გადმოსათარგმნელისა; ზოგს შეუძლიან მშვენიერი საბავშო წერილები დასწეროს შინაარსით, მაგრამ ენა არ უვარგა, ბოლოს, პირველნიც და მეორენიც ღარიბნი არიან საბავშო წიგნებითა და საყმაწვილო ჟურნალების ჰქონებაც არსად არის მათს გარშემო... ამისთანა გარემოებაში შეუდარებელია წრეები თანამშრომლებისა. ამ გვარს წრეს შეუძლიან დაიბაროს სამღენიმე საყმაწვილო ჟურნალი, შეიძინოს ბიბლიოთეკა საბავშო წიგნების, ამოირჩიოს შესაბამი გადასათარგმნელები, დაავალოს იმათი გადათარგმნა ქართულის ენის მცოდნეებსა, გადასინჯოს შეერთებული ძალით ჟურნალში გამოსაგზავნი ნაწერები, დაადგინოს იმათი უკანასკნელი რედაქცია და მზა-მზარეული გამოუგზავნონ ტფილისში „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელს. ამასა ჰქვიან ნამდვილი დახმარება, მონაწილეობა. თორემ ხშირად რედაქციას ნაწერების გადასწორებაზედ და შეკეთებაზედ უფრო მეტი შრომა მოსდის და უფრო მეტი დრო ეკარგება, ვიდრე ამ ნაწერების გადათარგმნა თვითონ რედაქციის მიერ მოითხოვდა. ფრიად სასურველია და სასარგებლო, რომ ამ გვარი წრეები ყველა ქალაქში დაარსდეს. ერთი სიტყვით, ყოველნი მოვალენი ვართ, რომ „ჯეჯილის“ წარმატებასა და აყვავებას ხელი შევუწყოთ, რითაც-კი შეგვიძლიან. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამაზედ მიმზიდველი, ნაყოფიერი და მაღალ-მნიშვნელობიანი საქმე ძნელად მოიპოვება.

იაკობ სვიმონიძე

## ახალი ამბავი

*** ჩვენს თეატრებს საზოგადოდ ვერაფერი საქმე დაჰმართა „ინფლუენციამ“. ოპერის თეატრმა დროზედ დააღწია თავი და ბაქოსკენ გაუტია. ფორკატის საოპერეტო დასი სწორედ შესაბრალისს მდგომარეობაშია: თვალსაჩინო არტისტები ყველანი ავად არიან, წერილმანების სანახავად კიდევ ხალხი არ დადის. ამის წყალობით ხუთშაბათს საღამოს ამ თეატრში დანიშნული წარმოდგენა არ შესდგა, რადგან თეატრის კასსაში სულ 4 მან. და 40 კაპ. ბილეთი გაყიდულიყო. და ან სადა სცალიან ეხლა ხალხს თეატრებისათვის, როდესაც თითქმის ყველა ოჯახში ერთი ან ორი ავადმყოფი წევს და ყველას თავისი დარდი და ვაჲამი აქვს თავში სახეთქი. ამ წელს, მაგალითებრ, პირველად გაჰმართა „ტფილისის საბრანიამ“ საღამო, მაგრამ მხოლოდ ორიოდე კაცა დაღოღიალებდა კლუბის დარბაზში და ქალისა ხომ ჰაჭანებაც არ იყო. წარსულს ოთხშაბათს კიდევ უკანასკნელი წარმოდგენა გაჰმართა მალოროსიულმა დასმა და ითამაშა მ. პ. სტარიცკის პიესა „Ой не ходы, Грицю, та на вечерныці“, მაგრამ თეატრი ნახევრად ცარიელი იყო. საზოგადოდ ამ ინფლუენციამ ვერაფერი საქმე ჰქმნა. ეხლა ექიმები ამბობენ, რომ ინფლუენციას ყელ-ჭირვება და ფილტვების ანთება მოსდევს და ძალიან ეშინობთ, რომ ეს სატკივრებიც არ გავრცელდეს ძალიანაო.

*** აგერ თითქმის კვირა-ნახევარია, ტფილისს წვიმასა და ტლაპოსაგან ვერ ამოუსუნთქია. ადამიანი გარედ ველარ გამოსულა, თუ გამოვიდა, სწორედ ერთი ურემი ტალახი აეკვრის ფეხზედ და ან კანჭებამდე ჩაეფლება სადმე ტალახის მორევში. ამისთანა მორევები-კი, ღვთის წყალობით, ბევრია ტფილისში. ჩვენი ქალაქის გამგეობა მარტო უმთავრესის ქუჩებისათვის ზრუნავს, მარტო გოლოვინის პროსპექტსა და სასახლის ქუჩას აწმენდინებს, კუკია, ჩუღურეთი და გარეთუბანი-კი აინუნშიაც არ მოსდის. ამ ადგილებში-კი ისეთი ზღვა სდგას, რომ ჯოჯოხეთის ტანჯვაა სწორედ ქუჩებში სიარული. ამას კიდევ თოვლი ემატება, რომელიც ყოველ დღე მოდის, ჰყაპდება და უფრო უარესად ატალახიანებს დედამიწას.

*** რა ცეცხლი და ღვთის რისხვაა ამოდენი ქურდობა, ამოდენი ავ-კაცობა და ავ-ხელობა, რაც ჩვენშია. რა ცოდვის კითხვაა, რომ ასე გაონავერებულა ხალხი და აღარასა სზოგავს, აღარას ერიდება და ასე აბუჩად ეკიდება სხვის საკუთრებას, სხვის ქონებას, სხვის ნაწვავ-ნადაგს. საიდამ გინდათ, რომ ქურდობისა და ავაზაკობის ამბავი არ მოგვდიოდეს, რომელს კუთხეს დაასახელებთ, რომელს მხარეს ჩვენის ქვეყნისას, რომ ყველგან ეს საშინელი და ქვეყნის კეთილდღეობის დამამხობელი სენი არა მძვინვარებდეს, ქურდობა-ავაზაკობა არა ხდებოდეს. ოღონდ სხვისი საკუთრება ჩაიგდონ ხელში, ოღონდ გაჰქურდონ ვინმე და აღარ დაეძებენ, ვის ექურდავთ, ვის ეტაცებთო. ჩვენის გაზეთის ნომრები ავსებით აივსო ასეთის ამბებით. გუშინ-წინ-ღამ კიდევ, მაგალითად, ქართლის რკინის გზის სადგურზე აუწონიათ ტვირთად მისაცემი ბარგი გზის მსახურთ, მიუციათ ბარათი ტვირთის პატრონისათვის და, როგორც უნდა შეიტანონ ვაგონში, იმ დროს მოაშორებენ თვალს და გაქრება კიდეც ტვირთი. სადგურზე ბნელა, უკუნეთია, აღარა სჩანს-რა. აქეთ ეცემიან, იქით ეცემიან და საცოდავნი მსახურნი რკინის გზისა გულგახეთქილი პატრონები ტვირთისა მაგრამ რა დაგიკარგავს და რაღას ეძებ. სად იყო ან ჟანდარმი, სად იყო ან ფარნები სადგურისა, რომ ისეთი წყვდიადი და სიბნელე სუფევდა სადგურზე, ამას მოამბე აღარა გვწერს. რკინის გზა, რასაკვირველია, გადაუხდის დანაკარგს ტვირთის პატრონს, რადგან ბარათი ხელში უჭირავს, მაგრამ რკინის გზამ ხომ იმ საცოდავს მწონავსა და ტვირთის მიმღებს უნდა გადაახდევინოს, რომელსაც თვეში სულ ორი და სამი თუმანი ძლივსა აქვს ჯამაგირი. ან-კი რას გადაუხდის რკინის გზა? ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ ტვირთად მიცემულსა და დაკარგულს ბარგში, რომლის წონა სულ ორი ფუთი იყო, თითქმის 15 თუმნის ნივთი და ტანისამოსი ეწყო. განა უზღავს ამას რკინის გზა, ან განა ყოველივე, რაც თან მიგვაქვს და მოგვაქვს, შეიძლება ფულით იქმნას ზღვეული-ჩვენის აზრით, მეტი სიფრთხილე, მეტი სიფხიზლეა საჭირო რკინის გზის მიერ.

*** ჩვენი კორრესპონდენტი გულ-ალა კაიკაციშვილი გვწერს ქობულეთიდგან: ამ ორის კვირის წინად დიდის ამბით გაისტუმრეს ქობულეთელებმა თავის «უჩასტკის» უფროსი დესიმონი. დესიმონი სოხუმში გადიყვანეს უფროსის თანაშემწედ. ამავე დროს მიეგებნენ დესიმონის მოადგილეს კანდელაკს, რომელმაც მთელის ბათუმის მაზრის სიყვარული დაიმსახურა. ქობულეთლებმა გაუმართეს ძველსა და ახალს უფროსს სადილი. სადილად მიიპატიჟეს აქაური მოხელენი და აგრეთვე ხალხის საყვარელი ბათუმის „ლესნიჩი“ აბაზაძე. სადილად სულ ქართული ძველი სიმღერები ითქვა, სიმღერებს კიდევ ცეკვა და სადღეგრძელოები მოჰყვა. ტოლუმბაშად თვით კანდელაკი იყო. სადილად ბევრი სიტყვები წარმოსთქვეს. ასე სიამოვნებით გაატარა ყველამ დრო, რომ უკეთესს კაცი ვერას ჰნახავდა. სადილს ვახშამი მოჰყვა. ბოლოს, როცა ძველი უფროსი დესიმონი გამოეთხოვა მასპინძლებს, ქობულეთლებმა ხელით სახლში მიიყვანეს, სახლიდგან ვოგზალამდის მაყრულის სიმღერით გააცილეს და ისე გამოეთხოვნენ.

*** იგივე მოამბე გვწერს: ახალის უფროსის ბ-ნ კანდელაკის მოსვლა ძალიან უხაროდა ხალხს, რადგანაც ქობულეთში წინადაც იყო დროებით უფროსად ბ-ნი კანდელაკი და ხალხს ძალიან კარგად ეკიდებოდა, ასე რომ ყველა თავის თავს ბედნიერად სთვლიდა, რომ ამ ნაირი უფროსი მოგვივიდა. მაგრამ ამ სასიამოვნო ამბავს უბედურება მოჰყვა: საწყალი კანდელაკი სამსახურის თაობაზედ სხვაგან წავიდა, გაცივდა და ფილტვების ანთებით 30 ნოემბერს გარდაიცვალა. ამ ნაირად ქობულეთმა დაჰკარგა თავისი უკეთესი კაცი, თავისი იმედი და ნუგეში. დეკემბერს ხალხმა და მოხელეებმა გაასვენეს დიდის მწუხარებით ასე უეცრივ განსვენებული კანდელაკი ხოფელს ჯუმათში, რომელიც ოზურგეთს ახლოა.

*** ამაშუკეთი: ამ ორის კვირის წინად სოფელ უბისაში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: გლეხის კ. სახუაძის ცოლი, ასე საღამოს 8 საათზედ, გზოში ხარებს მარილს აჭმევდა. ხარებმა ერთმანეთს რქები დაუწყეს და მალე კარგი ჭიდაობაც გამართეს. საწყალს ქალს ხელი ჰკრა და ხარების გაშველება სდომებოდა, მაგრამ ერთს ხარს უეცრად რქა გაეკრა, მუცელი მთლად გაუფატრა და წელები გადმოუყრევინებინა დედაკაცისათვის. უბედურმა დედაკაცმა დიდის გაჭირვებით გაათენა ის ღამე და მეორე დღეს ადრე გარდაცვლილიყო.

*** გაზეთი «მეურნე» სწერს: ამ უკანასკნელს წლებს სამხრეთ-რუსეთის მაზრებში ღომის მოყვანა დაიწყეს და კარგა ბლომადაც მოჰყავთ. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ძალიან ხშირად მოსდის თხოვნა, რომ აქედგან ღომის თესლი გაუგზავნონ. ამ ჟამად რუსეთში ღომს პურში ურევენ და პირუტყვ-საქონლის საკვებ მასალად ჰხმარობენ და მომავალშიაც სპირტის გამოხდას აპირობენ.

როგორც ჰფიქრობენ, ღომის მოყვანა რუსეთში ძალიან გავრცელდება, მით უფრო, რომ მისი მოყვანა ადვილია და არც ბევრს ხარჯს თხოულობს. ღომი (Adropogon sorghum) თითქმის ყველგანა გვარობს, სადაც-კი სიმინდი მოდის, ყველა მიწაში ჰხარობს, თუ ძალიან გორახიანი და მაგარი არ არის, მაგალითად წმინდა თიხა, ხოლო ქვიშნარ და თიხნარ მიწაში-კი უფრო კარგად მოდის. უკეთესია ეს მცენარე ფერდობებზედ დაითესოს, რადგან ამ შემთხვევაში უკეთესი მოსავალი იცის, მეტადრე თუ ეს ფერდობები მზისკენ არის მიქცეული. მიწის დამზადება შემოდგომაზე უნდა დაიწყონ, რამდენადაც შეიძლება ღრმად უნდა მოიხნას, ხოლო გაზაფხულზედ, როდესაც მიწა დაშრება, ხელ ახლად უნდა აიჩეროს. ღომს სთესვენ გაზაფხულის პირველ ხანებში, მაგალითად მარტ-აპრილში, თუ ყინვების შიში აღარ არის. საზოგადოდ-კი სჯობია ადრე დაითესოს ხოლმე, რადგან ღომი, შედარებით, გვიან შემოდის და გვიან დათესილი ბევრჯელ კარგად ველარ შემოდის. დღიურზედ 15 გირვანქა თესლს (ქცევაზედ ათს) სთესვენ და, თუ კარგი ჰავა დაუდგა და თესლიც კარგია, ერთი 80—90-ად იქცევა ხოლმე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ამაშუკეთი. უპატრონო ქვეყანას ეშმაკები დაეპატრონებიანო, ამბობენ აქაურები და მართალსაც ამბობენ. ამაშუკეთის სამამასახლისოს გულ-შემატკივარი კაცები გასწყობია; ყველაფერში, როგორც კერძო, ისე საზოგადო საქმეებში, დაუძლურებია, ვეღარ მოუვლია თავისათვის და ავაზაკების ბოროტ-მოქმედებათა ასპარეზად გადაქცეულა. ამას წინად „ივერიაში“ ვსწერდით: გასცარცვეს გლეხი გ. ბარბაქაძე, მამასახლისმა ერთის კვირის შემდეგ განაჩენი დაადგინა და, მგონი, კიდეც წარუდგინა პოლიციის ბოქაულს, მაგრამ, როგორც თვითონ მამასახლისმა მითხრა, ის განაჩენი ჯერაც არ გაგზავნილა მთავრობასთან, თუმცა ეს ავაზაკობა ივლისში მოხდა. ამ გარემოებამ ფრთა შეასხა ავაზაკებს და მათმა რიცხვმა ერთი ორად იმატა. ამ ჟამად დიდის ბრბო ავაზაკთა, 13—14 კაცი, და ვისაც შეუგულებენ რასმე, ან სხვისაგან გაიგონებენ, ამა-და-ამ კაცს ფულები აქვსო, თუ გინდ არც ჰქონდეს, მაინც მაშინვე დაესხმიან თავს. მერე რა ღონისძიებას ხმარობს სასოფლო პოლიცია ამის წინააღმდეგ? იმ ღონისძიებას, რომ ორისა და სამის დღის შემდეგ მამასახლისი დაადგენს განაჩენს და ჩაიდებს ჯიბეში. შეიძლება, თუ გაძარცული ფხიანი კაცია, რამდენისამე დღის შემდეგ კიდეც წარუდგინოს პოლიციის ბოქაულს, რომელმაც თავისის მხრით გამომძიებელს უნდა აცნობოს, მაგრამ სანამ ეს მიწერ-მოწერა გათავდებოდეს და გამომძიებელი მოვიდოდეს, ქურდები ათასს ცრუ მოწმეს შოულობენ და კვლავ თავის საქმეს მისდევენ. ჩვენდა საუბედუროდ, სამაზრო ადმინისტრაციის ყურამდის ამბადაც არ მიდის უმეტესი ნაწილი იმ ქურდობა-ავაზაკობისა, რომელიც აქ თითქმის ყოველ კვირა ხდება, თორემ არა გვქონია მაზრის უფროსმა ყარაულები მაინც არ დაგვინიშნოს ჩვენს საზოგადოებაში. ღამის ყარაულები თითქმის ყველა სამამასახლისოებშია დანიშნული და ამაშუკეთის სამამასახლისოში-კი არა, თუმცა ყარაულები აქ უფრო საჭიროა, ვიდრე სხვაგან, რადგან ეს სამამასახლისო ძლიერ განაპირებულია და დაცილებული სამაზრო პოლიციას. თუმცა პოლიციის ბოქაული-კია დაბა წიოვაში, სულ 20—25 ვერსის მანძილზე აქედამ, მაგრამ წიოვაში ეხლა ისეთი მოძრაობაა, იმდენი აურებელი სხვა-და-სხვა ტომის და სარწმუნოების ხალხია შეგროვილი, რომ ერთი-კი არა-ორი ბოქაულიც ვერ გაუძღვება იქაურს საქმეებს. თანაშემწე რომ ჰყავდეს წიოვის ბოქაულს, ეგებ მაშინ მაინც სოფლებსაც შეხედებოდა რამე.

წრევანდელი შემოდგომა მაინც უბედური იყო აქაურებისათვის. მოუსავლობას სწუხდნენ და ამ მწუხარებას მეორეც დაემატა — ქურდობა. ვისაც ხეირიანი ცხენი, ხარი ან ძროხა გააჩნდა, სულ ქურდებმა წაიყვანეს. ამ ნაირი „წვრილის“ ქურდობისთვის, როგორც აქაურები ეძახიან ამ ბოლოს დროს, კრინტიც არავის დაუძრავს, მაგრამ, საუბედუროდ, წვრილი ქურდობა თანდათან მსხვილდება და შველა-კი არსაიდამ არის.

დავასახელებ ორიოდე მომსხო ქურდობა-ავაზაკობას, რომელიც გასულ ოქტომბერში სულ ერთის კვირის განმავლობაში მოხდა: ოც-და-ერთ ოქტომბერს, ღამის 12 საათზედ, სოფ. დორეშაში 12 შეიარაღებული ავაზაკი დაესხა თავს მღვდელს მ. კურტანიძეს. ავაზაკებმა შეანგრიეს დიდის ხის სახლის ქვის საფუძველი, შეძვრნენ შიგ და იქიდამ დაუწყეს ჩეხა და მტვრევა იმ ოთახის კარებს, რომელშიაც სძინებოდა მ. კურტანიძეს. მღ. კურტანიძეს იმ დროს გაჰღვიძებოდა, როცა კარები ჩამოტვრევაზე იყო მიმდგარი, და ამიტომ ამჯობინა სხვა კარებში გავარდნა და გაქცევა, მაგრამ ერთი ავაზაკი, რომელიც კარებში იყო თურმე დარაჯად, დაედევნა, დაეწია იქვე ეზოში და ის-ის იყო მღვდლისათვის ხანჯალი უნდა დაეცა გულში, რომ მღვდელმა ხელები შეაშველა, რის გამოც მძიმედ დაიჭრა მარცხენა ხელში. ბოროტების ჩამდენს ჰგონებოდა მღვდელი უკვე მოვკალიო და ამხანაგებთან გაქცეულიყო, რომლებიც ამ დროს სახლში დანავარდობდნენ. მღვდლის ყვირილზე მალე ხალხიც შეგროვდა და ავაზაკებმა გაასწრეს. წაღებით, როგორც ამბობენ, ბევრი არაფერი წაუღიათ. ამ საქმის შესახებ მამასახლისმა მესამე დღეს დაადგინა განაჩენი და მეხუთე დღეს პოლიციის ბოქაულსაც გაუგზავნა, მაგრამ ჯერაც საქმე გამოუძიებელია. ჩემის ფიქრით, დიდ უნარს ვერ გამოიჩენს ასეთი დაგვიანებული გამოძიება. პოლიცია-კი რომ დროზე შესდგომოდა მებნას, ადვილად აღმოაჩენდა ამ ავაზაკობის ჩამდენთ, რადგან ერთ ავაზაკთაგანს ქუდი დარჩენოდა მღვდლის ეზოში და ბევრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაურებსაც ელოდინება ვინაობა ამ ყაჩაღ-ბატონებისა.

იმავე ღამეს გასტეხეს სამჭედური გ. გაჩეჩილაძისა და მთლად გაიტანეს, თუ რამ მოიპოვებოდა შიგ. მეორე დღეს, 22 ოქტომბერს, დასხდნენ გზაზე გაბრაელს ცოციაშვილს და 450 მან. წაართვეს. იმავე თთვის გასულს ღამე დაეცნენ გლეხს ჩაჩანიძეს და სულს გარეშე აღარაფერი შეურჩენიათ.

არა, ქურდობა ყოველთვის ყოფილა, მაგრამ ამ ნაირს გათამამებულს მისტომასა და ოჯახების აწიოკებას-კი მგონია ლეკობის დროსაც არ შესწრებია ჩვენი საზოგადოება. ისევ უმაღლესი მთავრობა თუ რასმე გვიშველის, თორემ თქვენი მტერი, ჩვენ დღე გვადგია ქურდების მეოხებით.

ნოემბრის პირველ რიცხვებში აქ ერთი არშინი თოვლი მოვიდა და მას აქეთ აგერ ერთი თთვე გადის განუწყვეტელი თოვა, ქარ-ბუქი და წვიმა-ჯანჯღებია. ბუნება მუდამ მოღუშული და წარბ-შეკრულია. ამ ცუდს ამინდს თუ იმასაც დაუმატებთ, რომ აქაურ მდინარეებზე (მირულა, დუმალა, ხელ-მოსმულა, კვადოურა და სხ.) სრულებით ხიდ-ბოგირები არ მოიპოვება, ხოლო სასოფლო გზებში-კი ერთსაც ვერ ამოარჩევთ ისეთს, რომელზედაც თვით მამალ „ჭინკას", რომელიც, აქაურების წარმოდგენით, მეტად მარდი და ღონიერი არსებაა, შეეძლოს უშიშრად გავლა, ადვილად წარმოიდგენთ რა გაძნელებული უნდა იყოს აქაურს სოფლებში მისვლა-მოსვლა. ღმერთმა ყოველი ქრისტიანი დაიფაროს ესლა აქ მგზავრობისაგან. აქაურები-კი ძლიერ არ დარდობენ უამინდობა-უგზო-უკვლობას, რადგან იმათის წყალობით ცოტად მაინც შესუსტდა გაცხარებული ქურდობა ავაზაკობა. აგერ ერთი თთვე გადის, რაც შესამჩნევი ავაზაკობა აღარ მომხდარა.

სიმონ ჭუმბურიძე

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

«Новое Время»-ში საინტერესო ფელეტონია დაბეჭდილი, რომლის ავტორიც ქალების უმაღლესს განათლებას შეეხება და იცავს. ავტორს ვერ დაუჯერებია, რომ ისეთმა სასარგებლო დაწესებულებამ, როგორიც არის „დედათა სამკურნალო კურსები", მხოლოდ თექვსმეტი წელიწადი იცოცხლოს და შემდეგ სამუდამოდ გაჰქრეს, სამუდამოდ დაიღუპოს-ო.

> არა, იგი მხოლოდ მიმალულ-მიჩქმალულია, გაკაფული, ხოლო ფესვები ისევ მთელი აქვს, და აგერ საცაა კვირტს გამოიტანს, სინათლის დამხშობი ზეწარი გადაეხდება თუ არა.

ამ დაწესებულების წინააღმდეგნი თავის თანაუგრძნობელობას უპირველესად იმაზედ ამყარებენ, რომ დედაკაცს „ფიზიოლოგიურ მიზეზის გამო" არ შეუძლიან ექიმობა, რადგან ამ ხელობას იმათი დედობრივი და მშობლიური მოვალეობა არ ემესაბამება. აი ამის პასუხად რას ამბობს „Новое Время"-ს მეფელეტონე:

> რაღა თქმა უნდა, დიდად სასურველია, რომ ყველა ქალი თხოვდებოდეს, მაგრამ ამას მხოლოდ სიტყვით თუ ვისურვებთ, რადგან საქმით ჩვენი სურვილი ვერ განხორციელდება. პეტერბურგში, მაგალითებრ, 200,000 კაცსა და ქალზედ მეტია, რომელნიც საქორწილონი არიან, მაგრამ ჯვარ-დაუწერელნი-კი. სამწუხაროა, მაგრამ ასე-კია. რაც შეეხება ქალებს-ექიმებს, უმეტესობა იმათგანი მეცნიერების სწავლას მაშინ ათავებს, როცა პირველი სიყმაწვილე უკვე გამოვლილი აქვთ და გათხოვების იმედიც მაგდენი ვერაფერი მოეპოვებათ. ამას გარდა, თუნდა გათხოვებაც შეიძლონ, ყველას ხომ არ ეყოლება შვილები? თუნდა ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც ღმერთი შვილებს მისცემს, უეჭველია არ ინანებენ, რომ სამკურნალო მეცნიერება შეძენილი აქვთ. რასაკვირველია, ეს ცოდნა უფრო მეტს სარგებლობას მოუტანთ, ვიდრე როიალის ბრახუნი, სცენის მოყვარულთა შორის თამაშობა, ფრანგულ რომანების კითხვა და სხ. და სხ. თუ ქალი ექიმობას ვერ გასწევს, მხოლოდ იმიტომ-რომ დედობრივი და მშობლიური მოვალეობა აწევს კისრადაო, მაშ ხებიებად როგორ-ღა არიან ქალები, ფერშლებად, მასწავლებლებად, აღმზრდელებად, არტისტებად?!..

სამწუხაროა, როცა ადამიანი იძულებულია დაამტკიცოს, რომ ორჯელ ორი ოთხია და არა გართოფილის სანთელიო. ექიმს ქალს ოცი, ოც-და-ათი წელიწადი შეუძლიან იშრომოს ამ ხელობაში, ოც და-ათი წელიწადი იმუშაოს. ვსთქვათ, შვილები მიეცა, თუნდა ოთხი შვილი. ამ გარემოებამ ბევრი-ბევრი სამი წელიწადი მოაცდინოს და ექიმობის მოვალეობის აღსრულებაში შეუშალოს ხელი, დანარჩენი ჩვიდმეტი წელიწადი რაღაზედ უნდა იჯდეს გულ-ხელ დაკრეფილი, დანარჩენი თავისი სიცოცხლე ადამიანის გამათახსირებელ მარტოოდენ რომანების კითხვასა და როიალის ბრახუნში რაზედ-ღა უნდა დალიოს ქალმა?!

**

რუსეთის სახელმწიფოში ყველგან ის კანონი ჰსუფევს, რომ რა სჯულის ადამიანმაც უნდა შეირთოს მართლ-მადიდებელი, რუსის ქალი, შვილებიც მართლ-მადიდებლად უნდა იქმნენ მონათლულნი; სულ ერთია, მამა იქნება მარტო მართლ-მადიდებელი, თუ დედა, შვილიც მაინც ამ სარწმუნოებას ეკუთვნის. გერმანელებს, რაღა თქმა უნდა, არაფრად მოსწონთ ეს კანონი და ყოველისფრითა სცდილობენ გზა აუხვიონ და აიცილონ როგორმე თავიდგან, რომ თავიანთი შვილები მართლ-მადიდებელთა სარწმუნოებაზედ არ მონათლონ. აი, გაზ. „Варшавскій Дневникъ"-ის სიტყვით, როგორ ახერხებენ გერმანელები ვოლინში, რომ შერეულ ქორწინებით ნაყოლი შვილები ლოტრანგთა სარწმუნოებად მონათლონ:

> გერმანელი ირთავს რუსის ქალს და ჯვარ-წერის დროს საჭირო ხელ-შეკრულებასაც აძლევს. ბოლოს-კი, როცა ცოლი ფეხ-მძიმედ გაუხდება, ბალტიის ზღვის სანაპიროზე სცენ ჰგზავნის და იქ დაბადებულს ყმაწვილს თავისს სარწმუნოებაზედ ანათვლინებს.

ამას გარდა სხვაფრივაც სცდილობენ ვოლინის გაგერმანებას.

> გერმანელი ყოველ თთვე ვითომ-და მოსამსახურედ იყვანს ერთს ან ორს 7—10 რუსის პატარა ბიჭს, გერმანულს ენას ასწავლის, სამშობლო ენაზედ ლაპარაკს უკრძალავს, ერთის სიტყვით, აგერმანელებს. აშკარაა, რომ 7—8 წლის ყმაწვილს ადვილად გადაარჯულებს ადამიანი. ორი-სამის წლის შემდეგ გლეხის პაწია ბიჭს ველარ იცნობს კაცი, რუსულს ერთიან ივიწყებს, გერმანულს ლაპარაკობს, თავისის სარწმუნოებისა აღარა ესმის-რა და შტუნდისტი ჰხდება. როცა ერთს გააგერმანელებენ ასე, იმას ისტუმრებენ, ახლა სხვას იყვანენ და იმასაც ამ გვარად ეპყრობიან.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ ასეთის ხერხის წყალობით ვოლინი საკვირველის სისწრაფით გერმანელდება და რამდენისამე ხნის შემდეგ ამ ალაგს ვგონებ სულ გერმანელები მოსახლობდნენო.

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი

ნაწილი მეორე

(შემდეგი *)

ამ წელს, დეკემბრის იზ, წაბრძანდა ბატონიშვილი იულონ ქალს თავის ძმის ვახტანგის სანახავად. იქ შეიყარნენ ერთათ კ დეკემბრს სალამოზედ. მეც იქ ვახლდი. ერთი საათი იქნებოდა ღამის გასული, კაცი მოვიდა და მეფის გიორგის სიკვდილის ამბავი მოიტანა. მაშინ-კი შელონებული იყო და ისევ მობრუნებულიყო, მაგრამ ცოცხლის ანგარიშში-კი აღარ იყო. კ დეკემბრიდამ კჱ დეკემბრამდინ ისე სულთ-მობრძავმა იცოცხლა და ოც-და-რვას დეკემბერს-კი აღსრულდა.

ქალიდამ რომ წამობრძანდა ბატონიშვილი, ბელოთს აღარ ასულა. შობის დღესასწაული მეჯვრისხევს გარდავიხადეთ და იქიდამ ზემო ქართლში წავედით. დირბს მიბრძანდა, იქ შემოეყარნენ ქართლის თავადიშვილნი ამილახვარი და წარჩინებული ყოველნივე. იქიდამ რუისს ჩამოვედით, ნათლის-ღების დღესასწაული იქ გარდავიხადეთ. იქ მოუგზავნეს მოციქულები და დაჰპატიჟეს, მეფის ძეს იულონს რომ მეფობა ეწოდებინა, მაგრამ არ ინება, ხელმწიფესთან რომ მუჯალამა მისწერეთ და ჩვენც არზები მივართვით, იმას მოუცადოთ და კახელების შეყრასაო. აქედამ წასულნი ჩავედით მუხრანს, იქ შემოეყარნენ ძმები ვახტანგ და მირიან. ამ ჟამებში წერისაგან ამდენი მოცლა არა მქონდა, რომ ოც-და-ოთხს საათში ერთი და ორი საათიც ვერ მოვიცალე, რომ დამეძინა, აქ მუხრანს ლაზარევს ირანალს თავის ადიუტანტი გამოეგზავნა და წერილები, რომელიც აცხადებდა, რომ გიორგი მეფეს საქართველო ხელმწიფისათვის მიერთმია და ხელმწიფესაც მიეღო. დავით მემკვიდრე უნდა იყოსო და ხელმწიფის ბრძანებას უნდა მოუცადოთო.

წელიწადსა 1801, ქორონიკონს უპთ, ქართველნი ყოველნი თან ახლდენ. კ იანვარს წავედით მუხრანიდამ კახეთში შესასვლელად. იმ ღამეს მივედით მარტყოფს. ჩვენი წასვლა რომ შეეტყოთ, იოანე ბატონიშვილი ჯარით და გულაკოვი იარანალი თავის პოლკით გამოგვედგომოდნენ. ვახშამთ უკან კაცი მოგვივიდა მარტყოფს, რომ ქალაქიდამ გამოვიდნენ და თქვენზედ მოდიანო. ჩვენ მაშინვე ავიყარენით და ქიზიყს წავედით. სამნი ძმანი იყვნენ იქ, იულონ, ვახტანგ და მირიან. მირიან არაგვზედ წამოსასვლელად დააბრუნეს და ორნი ძმანი იულონ და ვახტანგ ქიზიყისაკენ წავიდნენ. ოთხასი კაცი ვიქნებოდით სულ. იმ ღამეს, როგორც მარტყოფიდამ ავიყარენით, ერთი ისეთი საშინელი ქარი ამოვიდა, რომ არას დროს იმისთანა ქარი არ მინახავს. კა საღამოზედ ქიზიყს ჩავედით, ბოდბეს. რომ გათენებულიყო, იოანე ბატონიშვილი და რუსის ჯარი მარტყოფს მოსულიყვნენ. მარიანს გარდა ჩვენი ხალხი ვინც დაეხლებინათ იქა, ყველანი დაეჭირათ და ავათ მოპყრობით ქალაქს გაეგზავნათ. სოლნის დეკანოზი იოანე იყო ჩვენთან და იქ დარჩა. ისიც დაეჭირათ, ავათ მოპყრობით ქალაქს გაეგზავნით. ჩვენი ქიზიყისაკენ წასვლა რომ შეეტყოთ, ახლა იქ გამოგვედგომოდნენ უკან. ქიზიყს კა იანვარს ღამე მივედით. მეორე დღეს კბ იანვარს იქ დავყავით, ქიზიყელნი და ბებურიანნი მოვიდნენ, შემოგვეფიცეს იულონს მეფობაზედ და შემოგვეხვეწნენ. კბ იანვარს რომ დაღამდა, ჩვენი გამოდგომილი რუსის ჯარი წინა კაცით მალაროს მოვიდნენ, დადგნენ გზაზედ. რაც უკან კაცი დაგვრჩა, ან ბარგი, ისინი სულ იჭირეს და აბრუნეს. ქართველნი იოანე ბატონიშვილს ახლდნენ. იანვრის კგ დილაზედ რუსების მომდინარეობა რომ შევიტყვეთ, ქიზიყელნი ყველანი ჩამოგვეცალნენ, ჩვენც გამოვედით ქიზიყიდამ და იორში ჩამოვედით. ის ღამე გათენებამდინ სულ ვიარეთ და რომ გათენდა, სართიჭალას მოვედით. ცოტას ხანს შევისვენეთ იქა, რომ იმ საშინელმა ქარმა, სიმშილმა და უძილობამ ძალა გვიყო. კდ იანვარს საღამოზე ნორიოს მოვედით, იმ ღამეს იქ შევისვენეთ და მეორეს დღეს კე იანვარს მუხრანს ამოვედით. მარტყოფიდამ წასული სანამ მუხრანს მივიდოდით, ისეთი საშინელი სიცივე და ქარი იყო, რომ ბევრი კაცი დაზერვით ცხენიდამ გადაავდო ქარმა და ცხენი წააქცია.

იანვრის კვ მუხრანს შევიტყვეთ, რომ ერისთავის შვილები მეჯვრისხევს შესულანო. იანვრის კვ და კზ-ს იქ შაგვიგვიანდა. წიგნები ჰქონდათ საწერი. იანვრის კჱ მუხრანიდამ წამოვედით. იმ ღამეს ქალას ვიყავით, — იქიდამ კთ ორტიზას მოვედით და ლ ჯარიაშენს. სამჯერ ერისთვის შვილებთან სროლა მოგვიხდა. აქ ჯარიაშენს დგომაში ორჯელ და სამჯერ ქალაქიდამ დაჰეშმარიტებით ამბავი მოგვივიდა, რომ დავით მოდის რუსის ჯარით თქვენზედაო. ამ მიზეზით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ, ფებერვლის ვ-სა მეფის ძე იულონ ფამილიით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისაკენ წამოსასვლელად გამოემგზავრა. მეც აგყარე თქვენ და ქრცხინვალს ჩამოგიყვანე. იქიდამაც მინდოდა იმერეთს წამომეყვანენით, მაგრამ თოვლი, ზამთარი და ავი დარი იყო. ოთხნი ცხენზედ კელში დასაჭერი წვრილი ყმაწვილები იყავით, შვიდი რვა ცხენი გვინდებოდა. ამის მიზეზით თქვენ ქრცხინვალს დაგაგდე და მე იმერეთს ბატონის შვილს გამოვყევ. ორი თვე იყო მე შინ არ ვყოფილიყავ და თქვენი არა ვიცოდი-რა. ახლა ეს მომიხდა: რის ყოფით და მწუხარებით მთა გადმოვიარეთ, ერთი ღამე თოვლში და ავდარში მთაზედ ღამე დავრჩით. მე ჩემის თავის აღარც დაღალვა მეწუხებოდა და აღარც სიცივე, სული ხორცში თითქმის აღარ იდგა, თქვენი მწუხარება მკლავდა, რომ ისე საცოდავად დაგყარე იქ. თუ მეც თქვენთან დამდგარიყავ და არ გავყოლოდი ბატონიშვილსა, უფრო ბიაბრობა მომადგებოდა. ი ფებერვალსა გადმოვედით იმერეთში, რამდენიმე დღე სვერსა და გზაზედ სოფლებში შევისვენეთ. კგ ფებერვალს ჰალა-ტყეს მივეყვანეს. ჩვენი დასადგომი სახლები იქ გაეკეთებინათ, ვიდექით და იქ ვიყავით მწუხარებით. აქ ჰალა ტყეს მომივიდა თქვენი ამბავი და თარხნიშვილის წიგნი, რომ აეყარენით ცხინვალიდამ თქვენ და გორს ჩაეყვანეთ თარხნიშვილს. რასაკვირველია, ჩემს მწუხარებას ეს კიდევ მოემატებოდა: ვიყავი ამ მწუხარებით მარხვა დარჩენილი და საუფლო დღესასწაული აღდგომისა აქ ჰალა-ტყეს გადავიხადეთ. აქავ დგომაში მოგვივიდა ამბავი რუსეთის იმპერატორის პავლეს გარდაცვალებისა. ია მარტს გარდაცვალებულიყო.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" №№ 203, 204, 205, 253 და 255.

---

# უცხოეთი

ინგლისი. ინგლისში უფრო ადრე ელიან საყოველთაო არჩევანებს დეპუტატებისას, ანუ დათხოვნას პარლამენტისას, ვიდრე კანონიერი ვადა გაუვა დღევანდელს პარლამენტსა და სალისბერის სამინისტროს. კერძო არჩევანებზე უფრო ლიბერალები იმარჯვებენ და ეს გარემოება აძლევს საბუთს უმრავლესობას, რომ სალისბერის სამინისტრო ადრევე დაითხოვს პარლამენტს და შეეკითხება ქვეყანას, ჰსურს თუ არა კვლავ კონსერვატორები იყოლიოს სახელმწიფო საქმეების მოთავე-გამგებლად.

— ჩამბერლენს უნდა კონსერვატორებმა, ანუ ტორიებმა ახალი სახელი დაირქვან. ეხლა გარემოება შეიცვალა, კონსერვატორები ისეთს სალიბერალო გზას ადგიან, რომ ხანდახან თვით ლიბერალებს ეძნელებათ კონსერვატორების მიერ მონდომებულ კანონების შემოღება, რადგან იგი კანონი მეტად სალიბერალოა ხოლმეო. კონსერვატორების დასს მიემხრენით ახლა წინანდელი ლიბერალებიც — დისიდენტებიცაო და ჩვენი დემოკრატობა და ლიბერალობა ხომ ყოველსავე ეჭვს გარეშეა. მაშასადამე, ახალი შეერთებული დასია დღეს შემდგარი და ამ დასს სახელიც უნდა გამოვუცვალოთ და ვუწოდოთ სჯეროვნო დასიო.

მაგრამ ცხადია, რომ ცარიელი სახელის გამოცვლა საქმის ვითარებას არ შესცვლის: არსებობა ლორდთა პალატისა, დიდი და განსაკუთრებული უფლება მემამულეთა თვით-მმართველობის საქმეში მონაწილეობის მიღებისა, მერე თვით აღზრდა ტორიებისა, ანდერძები მამა-პაპათა ჯერ კიდევ დიდხანს დაუშლის ინგლისში ორს დიდს დასს გაერთიანებას. თითოეულს საგანში ლიბერალებისა და კონსერვატორების თანხმობა ჯერ კიდევ არას ამტკიცებს იმის მეტს, რომ კონსერვატორები ახლა უფრო ფრთხილად იქცევიან, შორს-მხედველის კეთილ-გონიერებით მოქმედობენ და ამიტომ სცდილობენ ზოგიერთის ისეთის კანონის შემოღებას, რომელიც თავის ბუნებითა და თვისებით დიაღ სალიბერალოა და საკეთილოც. სავალდებულო სწავლების კანონის შემოღება შოტლანდიაში, მამულების შესყიდვისა მხვნელ-მთესველთა მიერ ხაზინის დახმარებით, რასაკვირველია, დიდი სალიბერალო საქმეა დღევანდელ კონსერვატორთა მიერ, მაგრამ ბევრი რამ რჩება კიდევ ისეთი, რაც ასე მალე ვერ ამოავსებს ჩაკიდულას ლიბერალთა და კონსერვატორთა შორის...

საფრანგეთი. 27 ნოემბერს დეპუტატთა პალატაში ქარტეხილი ასტყდა. უნდა გადაწყვეტილიყო, ბულანჟე ეცნათ, თუ ჟოფრენი მონმარტრის

წარმომადგენლად, დეპუტატად. პირველმა ლაგერმა ილაპარაკა. ლაგერი ავ-გუნებაზე იყო და ცხარე-ცხარე სიტყვებს ხმარობდა ლაპარაკში. ბევრგან კანდიდატობა! ვერ გამოაცხადებს კაციო! ეს კანონი თქვენ ერთის კაცის წინააღმდეგ შემოიღეთ (ისმის ხმა ჩივილისა და დრტვინვისა). უმაღლესმა სასამართლომ რომ განაჩენი დაადგინა, ეგ საარჩევანო ხერხი იყოვო (პალატა ჰკარგავს მოთმინებას). მთავრობა სცდილობდა ძალა დაეტანებინა ამომრჩეველთათვის და თავისი კანდიდატები აერჩევინებინაო (თავმჯდომარე ფლოკე ემუქრება ლაგერს, რომ ლაპარაკის ნებას მოგისპობო). მერე ლეზანმა ილაპარაკა: თავი მომწონს, რომ ბულანჟელების დასის კაცი ვარო. მერე მოჰყვა ქება-დიდებას ბარაქალა გენერლისას, ლონდონელ დევნილისას. ცოტაოდენი ილაპარაკეს ბარესონმა, როშმა, რეინახმა, როქანმა და დერულედმა. პელტანმა სთქვა, ხელ-ახლად იყოს არჩევანი მონმარტრშიო. რეინახი ამტკიცებდა, რომ მონმარტრის არჩევანების მოშლა იმას ეგვანება, რომ გამოაცხადოთ კანონიერება ბულანჟეს წარმომადგენლობისა და დეპუტატობისაო. 293 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 233-ისა გადასწყდა, რომ ჟოფრენია ჭეშმარიტი წარმომადგენელი მონმარტრისაო...

## დეპეშა

8 დეკემბერი

პეტერბურგი. „Москов. Вѣдом.“-ის მიერ დაბეჭდილი ამბავი, ვითომ ხმა დადის, რომ გზა სამინისტროს ზოგიერთნი უმთავრესნი მოხელენი შეცვლილნი იქმნებიანო, ოფიციალურად უარ-ყოფილია.

ბოტკინი ეხლა ცოტა უკეთ არის.

ბაქო. დღეს ორს საათზედ საარტილერიო საწყობში უეცრად ყუმბარა გავარდა ხელიდგან არტილერისტს, გასქდა და ცეცხლი გააჩინა. ცეცხლმა სამს საათს გასტანა. დაიწვა ფარდული, საწყობი შუშხუნებითა და ყუმბარებით და ასი ათასამდე თოფის გულა. 12 კაცში 4 გადარჩა, 4 ცეცხლში დაშავდა და დანარჩენი-კი ველარ იპოვეს.

პეტერბურგის ბირჟა, 5 დეკემბ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 7 47 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 149³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 255³/₄ |
| —მეორისა . . . . . | 228 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3¹/₂
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3¹/₂
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

ეს-ეს არის ეხლა დაიბეჭდა მეორედ გასწორებული და შევსებული გამოცემა მრავალის სურათით.

**საღმრთო ისტორია**

ძველისა და ახალის აღთქმისა

თხზ. მღვ. ლაზარე ტურიევისა.

წიგნი ისყიდება საცენტრალო წიგნის მაღაზიაში, რომელიც ტფილისში იმყოფება. ფასი 40 კაპ. წიგნის გამყიდველთ და სასწავლებლებს დაეთმობათ 20%.

(5—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო ამბები თ. ახათიანისა, ფასი . . . | „ | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . . | „ | 25 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . | „ | [illegible] |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 0 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა. | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან . . . . . . | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პიროუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა I ნაწილი . . . . . . . | 3 | „ |
| II ნაწილი . . . . . . . | „ | 3 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |

## ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თეითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 8-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.